მოთხოვნები თანამედროვე სამეცნიერო ნაშრომებზე

1. ნაშრომი უნდა იყოს ახალი, ორიგინალური და მეცნიერულად მკაცრი.
2. ნაშრომში მკვეთრად და ნათლად უნდა იკვეთებოდეს ავტორთა პირადი წვლილი.
3. ნაშრომი უნდა იყოს აქტუალური, საჭირო და დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი.
4. ნაშრომის შესრულების მოტივაცია უნდა იყოს მისი გამოყენების ან სარგებლიანობის მაღალი პერსპექტივა.
5. ნაშრომი უნდა შეიცავდეს შედარებებს და მნიშვნელოვან გაუმჯობესებებს, ვიდრე ანალოგიურ კონკურენტ და ცნობილ შედეგებშია ასახული.
6. ნაშრომში მოყვანილი იდეები გამოხატული უნდა იყოს შესაძლებლად მოკლედ, ლაკონურად და ნათლად.
7. მიღებული შედეგების სისწორეს ან სიზუსტეს უნდა ჰქონდეს მაქსიმალური დამაჯერებლობა.
8. სასურველია ნაშრომი შეიცავდეს მითითებებს, ანალოგიურ, სხვა ავტორთა იმ შრომებზე, რომლებიც გამოქვეყნებულია მაღალი რეიტინგის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში. ამ დროს მიზანშეწონილია მათი დიდი ნაწილი გამოქვეყნებული იყოს ბოლო შვიდი-ხუთი წლის განმავლობაში.
9. გადმოცემა უნდა იყოს გრამატიკულად გამართული და მაღალი ხარისხის.